PDF Eraser Free

დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების "მეფუტკრეობის" და "მეხილეობის" მონიტორინგის შესახებ (დაბა თიანეთი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
წევრი:
თამარ ახალაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი[redacted]
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

II. მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

საბჭოს შუამდგომლობით დანიშნული მონიტორინგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
მეფუტკრეობა	20	6	0
მეხილეობა	10 სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს-10	5 (ინტეგრირებული)	0

ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესახებ მოპოვებულია ონლაინ ჩართვის შედეგად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად (სხდომის ოქმი N644562, 29/07/2020), სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 8 ოქტომბრის N966159 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის **„მეფუტკრეობა“** (განხორციელების ადგილი: დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ N 21") ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის **ბ.ბ კომპონენტის,** საგანმანათლებლო პროგრამის **„მეხილეობა“** (დუალური), რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (განხორციელების ადგილი: დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ N 21"), ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის **ბ.ბ და ბ.გ** კომპონენტების შესრულების შემოწმება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (არაგეგმიური მონიტორინგი).

დისტანციურად ჩართვამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, შეადგინა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების (მონიტორინგი) გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 21 ოქტომბერს 14.00 საათზე განხორციელდა ჩართვა. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, შესყიდვების მენეჯერს და ლოჯისტიკის წარმომადგენელს. მათთან ერთად განიხილეს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და კოლეჯის მიერ შექმნილი პრაქტიკის კვლევისთვის საჭირო გამოკითხვის ფორმები, მატერიალური შესყიდვის პროცედურა, ლოჯისტიკის და ბიუჯეტის საკითხები. ექსპერტები ასევე გაესაუბრნენ „მეფუტკრეობის“ და „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს და ონლაინ დაათვალიერეს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ, ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ხორციელდება თიანეთის ფილიალში. პროფესიული პროგრამებისთვის წარმოდგენილი მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კოლეჯის მიერ გათვალისწინებულია წინა ადმინისტრაციული წარმოების პირობებში გაცემული რეკომენდაციები, რაც მოწმობს იმას, რომ კოლეჯი თანმიმდევრულად ახორციელებს ცვლილებებს დაწესებულების საქმიანობის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. შესაბამისად არ იკვეთება საგანმამათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი. მონიტორინგზე გამოვლენილი გარემოებების თანახმად ზემოხსენებული კომპონენტები, ორივე საგანმანათლებლო პროგრამაში, შეფასდა როგორც „სრული“.

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“

სტანდარტი 2

კომპონენტი 2.2.1.

კრიტერიუმი 1. რეკომენდაცია: სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით: კოლეჯმა უზრუნველყოს მეფუტკრეობის პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებისთვის მატერიალური ბაზის შევსება სასწავლო პროცესის დაწყებამდე;

რეკომენდაცია გათვალისწინებულია და შესაბამისად პროგრამის მატერიალური ბაზა სრულყოფილად არის წარმოდგენილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

კრიტერიუმი 3. რეკომენდაცია: სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:

✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს მოსამსახურე პერსონალის პირადი საქმეების სრულად დაკომპლექტება კოლეჯის შინაგანაწესით სავალებულო წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესაბამისად;

✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნული პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში;

რეკომენდაციები გათვალისწინებულია და შესაბამისად პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები სრულყოფილად არის წარმოდგენილი. პროფესიული განვითარების მიზნით პროფესიულ მასწავლებლების ტრენინგების ჩატარება თავად დაწესებულებამ უზრუნველყო, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“

სტანდარტი 2

კომპონენტი 2.2.1.

კრიტერიუმი 1.

რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით: კოლეჯმა უზრუნველყოს მეხილეობის ინტეგრირებული პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებისთვის მატერიალური ბაზის შევსება სასწავლო პროცესის დაწყებამდე;

რეკომენდაცია გათვალისწინებულია და შესაბამისად პროგრამის მატერიალური ბაზა სრულყოფილად არის წარმოდგენილი.

კრიტერიუმი 3.

რეკომენდაცია: სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:

✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს მოსამსახურე პერსონალის პირადი საქმეების სრულად დაკომპლექტება კოლეჯის შინაგანაწესით სავალებულო წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესაბამისად;

✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნული პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება ინტეგრირებული მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

რეკომენდაციები გათვალისწინებულია და შესაბამისად პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები სრულყოფილად არის წარმოდგენილი. პროფესიული განვითარების მიზნით ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელმა მასწავლებლებმა გაიარეს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები გაეროს მხარდაჭერით, ხოლო პროფესიულ მასწავლებლების ტრენინგების ჩატარება თავად დაწესებულებამ უზრუნველყო, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

2.3.1 კომპონენტისთვის

კრიტერიუმი 1.

რეკომენდაცია: სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით: გადამუშავდეს კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, პროგრამის შეფასების მექანიზმში მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული შრომის ბაზრის მოთხოვნების და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლის ინსტრუმენტები და გადამუშავდეს, შემუშავდეს ასევე კვლევისთვის საჭირო გამოკითხვის ფორმები.

რეკომენდაცია გათვალისწინებულია - დაწესებულებამ წარმოადგინა, რეკომენდაციების შესაბამისად გადამუშავებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, კვლევებისთვის შექმნილი კითხვარების ფორმები და ჩატარებული 2 კვლევის - დამსქმებელთა კმაყოფილების და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის შედეგები.

VII. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა

VIII. რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის N 04-77 ბრძანება (29.05.2020)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა N21

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	20
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

X. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	➢ სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“

XI. სტანდარტების შეფასება

2. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.
2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ონლაინ რეჟიმში მატერიალური რესურსის (სასწავლო გარემო, აღჭურვილობა და ინვენტარი) დათვალიერების შედეგად დადგინდა შემდეგი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამა **„მეფუტკრეობის“** (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (20 პროფესიული სტუდენტი), მისამართებისა და განხორციელების ფორმის გათვალისწინებით დაწესებულებას აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი: A გარემო (N208 აუდიტორია)- თეორიული სწავლებისთვის, სადურგლო სახელოსნო -პრაქტიკული სამუშაო გარემო (N108 აუდიტორია), B გარემო (N112 აუდიტორია); მეფუტკრეობის სახელოსნო C გარემო (110 აუდიტორია) და სადემონსტრაციო საფუტკრე მეურნეობა (17 სკა) ღია ცის ქვეშ.

დაწესებულებამ წარმოადგინა მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის სრული კომპლექტი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯმა წარმოადგინა ასევე ყველა ის რესურსი, რომელიც პროგრამის დამატების პერიოდში ჯერ კიდევ შესყიდვის პროცესში იყო. კერძოდ: სკის სადემონსტრაციო მოდელი ჭრილში -1ც.; ფუტკრის რძის შესანახი ჭურჭელი - 20ც.; ფუტკრის შესაწამლი აპარატი -1ც,; სამუშაო დაზგა -1ც,; კუთხის საჭრელი ჩარხი -1ც.; სახარატო ჩარხი - 1ც.; საჩარხი იარაღების ნაკრები - 1ც.; ფუტკრის სარწყულები -10 ც.; ყვავილის მტვრის შესანახი კონტეინერი - 20ც.;

კოლეჯს პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებული აქვს მემორანდუმები საფუტკრე მეურნეობის მფლობელ 2 ფიზიკურ პირთან (დავით მოსიაშვილი და ზაზა ოთარაშვილი). მემორანდუმების თანახმად თითოეული მეურნეობა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს 10 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული სწავლება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯის მფლობელობაში არსებული საფუტკრე მეურნეობა (17 სკა) სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი მატერიალური რესურსით და ასევე სრულად უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი მატერიალური რესურსი სრულ შესაბამისობაშია ნორმატივებით დაადგენილ აუცილებელი სასწავლო რესურსთან და ასევე სრულად უზრუნველყოფს „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

წამოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მეფუტკრეობის საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 12 პროფესიული მასწავლებელი. პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირეულ 40 საათს.

ექსპერტები გავეცანით ყველა პროფესიული მასწავლებლის პირად საქმეს და დავადგინეთ, რომ წინა ადმინისტრაციული წარმოების პირობებში გაცემული რეკომენდაცია, რაც ეხებოდა პერსონალის პირადი საქმეების მოწესრიგებას, სრულად არის გათვალისწინებული და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები დაკომპლექტებულია კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრული სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესაბამისად. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან არის 12/20, რაც სრულად უზრუნველყოფს მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრმის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ მათ აქვთ პროფესიული სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, შესაბამისი კვალიფიკაცია და სფეროში მუშაობის სამუშაო გამოცდილება. ასევე გავლილი აქვთ შიდა ტრენინგები სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიურებისას ონლაინ ჩართვის პირობებში აღინიშნა, რომ მან გაითვალისწინა წინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

ადმინისტრაციული წარმოების დროს გაცემული რეკომენდაცია მასწავლებლების პროფესიული განვითარების საჭიროებასთან დაკავშირებით და 2020 წლის 10, 11 14 და 15 სექტემბერს კოლეჯის, ორივე ლოკაციაზე, ძირითად და დაბა თიანეთის ფილიალის სასწავლო ერთეულში ჩაატარა ტრენინგები სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ. 30 სექტემბერს ჩატარდა დამატებითი ტრენინგები იმ პედაგოგებისათვის ვინც ვერ შეძლო წინა პერიოდში ჩატარებულ ტრენინგებზე დასწრება. ტრენინგს საერთო ჯამში დაესწრო 48 პედაგოგი.

2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ექსპერტები გავეცანით „მეფუტკრეობის“ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეს და გავესუბრეთ მას ონლაინ რეჟიმში. შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს დარგობრივი კომპეტენცია, რაც დასტურდება მისი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით. იგი დანიშნულია დირექტორის ბრძანებით და მის მოვალეობებს ვეცნობით ასევე კოლეჯის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში ''სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი“. წესის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია იზრუნოს პროგრამის განვითარებაზე, მის მონიტორინგზე პროგრამის ადეკვატურ განხოციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამინური რესურსების განვითარებაზე. მისი ვალდებულებაა ასევე ვერიფიკაციის პროცესში ჩართვა, რითაც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას. ონლაინ ჩართვის რეჟიმში გასაუბრებამ დაგვარწმუნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობები, პროგრამის ეფექტიანად განხორციელების საქმეში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულებამ ონლაინ ჩართვაში ექსპერტებს წარმოგვიდგინა და დაგვათვალიერებინა პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია ბეჭდური ან ელექტრონული სახით სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი სახელმძღვანელოები და ელექტრო მატარებლებზე ჩატვირთული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია ბიბლიოთეკის ინვენტარიზაციის წიგნში. საგანმანათლებლო მისიას ემსახურება ბიბლიოთეკაში განთავსებული 10 კომპიუტერიც და ერთი ნოუთბუქი.

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ამ ეტაპზე კოლეჯს არ ჰყავს სსსმ და შშმ პირი, მაგრამ შემუშავებული აქვს მექანიზმები, რომლებიც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. კოლეჯი მზადყოფნას გამოთქვამს საჭიროების შემთხვევაში სრულად უზრუნველყოს მათი ეფექტიანი ჩართვა სასწავლო პროცესში. ამისთვის, კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, შემუშავებულია მათი შეფასების ინსტრუმენტები. საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია განხორციელდეს როგორც, მოდულის მოდიფიკაცია ასევე აკომოდაცია და მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. შშმ და სსსმ სტუდენტებისთვის კოლეჯში არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა (პანდუსები), რაც უზრუნველყოფს სსსმ სტუდენტების წვდომას პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯმა წარმოგვიდგინა პროგრამის ბიუჯეტი. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მეფუტკრეობა“ რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 10 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასური - ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსებაა, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება და პროგრამის სასწავლო მასალების, მასალა-ნედლეულის ღირებულება. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მეფუტკრეობის პროგრამისათვის საჭირო მატერიალურ- ტექნიკური აღჭურვილობის დანართით;
- მიღება ჩაბარების აქტებით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“;
- პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეებით
- პროგრამის განმახორციელებლებთან დადებული ხელშეკრულებებით;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობით;
- ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო წესით დამუშავეული სასწავლო რესურსით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- გასაუბრების შედეგებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“

პროგრამის სახელწოდება	მეხილეობა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	N 04-95 ბრძანება (23.09.2019) ცვლილება N04-118 (01.11.2019) დანართი N1 N04-151 (13.12.2019) დანართი N1 ცვლილება N 04-76 ბრძანება (29.05.2020)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა N21
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	10
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	10
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

X.პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	➢ სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	➢ სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

2. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ონლაინ რეჟიმში მატერიალური რესურსის (სასწავლო გარემო, აღჭურვილობა და ინვენტარი) დათვალიერების შედეგად დადგინდა შემდეგი:
საგანმანათლებლო პროგრამა **„მეხილეობის“** (დუალური) ინტეგრირებული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (10 პროფ.სტუდენტი ინტეგრირებულ პროგრამაზე).

კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A (N203 აუდიტორია), B (N201 აუდიტორია) და C გარემო (N103 და N202 აუდიტორია). დაწესებულებამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული აღჭურვილობა, რომელიც წინა ადმინისტრაციული წარმოების პირობებში კოლეჯს არ ჰქონდა შესყიდული ინტეგრირებული პროგრამისთვის.

ინტეგრირებული პროგრამის (დუალური) სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები 2 ფიზიკური პირთან - თამარ ღანიშაშვილი და ომარ ქუცნაშვილი. ხელშეკრულებები დადებულია 2019 წელს და მოქმედებს პროგრამის განხორციელების უფლების ვადით. ორივე სასწავლო საწარმო იღებს ვალდებულებას ერთდროულად არაუმეტეს 10 პროფესიულ სტუდენტის მიღებასთან დაკავშირებით. კოლეჯის მიერ ინტეგრირებული (დუალური) პროგრამის სწავლების განხორციელებისთვის დადებულ ხელშეკრულებებს თან ახლავს აღჭურვილობის ჩამონათვალი. როგორც ონლაინ ჩართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

დროს გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, ამ ეტაპზე კოლეჯს ინტეგრირებულ პროგრამაზე (დუალური) მიღებული ჰყავს 5 პროფესიული სტუდენტი, რომელთაგნ 4 პრაქტიკულ კომპონენტს ეუფლება თამარ ღანიშაშვილის საწარმოში, ხოლო 1 ქუცნაშვილის საწარმოში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი მატერიალური რესურსი სრულ შესაბამისობაშია ნორმატივებით დაადგენილი აუცილებელი სასწავლო რესურსთან და ასევე სრულად უზრუნველყოფს „მეხილეობის“ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.

2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

წამოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მეხილეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 11 პროფესიული და ინტეგრირებულ მოდულზე 8 პროფესიული მასწავლებელია.

პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირეულ 40 საათს.

ექსპერტები გავეცანით ყველა პროფესიული მასწავლებლის პირად საქმეს და დავადგინეთ, რომ წინა ადმინისტრაციული წარმოების პირობებში გაცემული რეკომენდაცია, რაც ეხებოდა პერსონალის პირადი საქმეების მოწესრიგებას, სრულად არის გათვალისწინებული და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები დაკომპლექტებულია კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრული სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესაბამისად,

2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ მათ აქვთ პროფესიული სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, შესაბამისი კვალიფიკაცია და სფეროში მუშაობის სამუშაო გამოცდილება. ასევე გავლილი აქვთ შიდა ტრენინგები სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიურებისას ონლაინ ჩართვის პირობებში აღინიშნა, რომ მან გაითვალისწინა წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს გაცემული რეკომენდაცია მასწავლებლების პროფესიული განვითარების საჭიროებასთან დაკავშირებით და 2020 წლის 10, 11 14 და 15 სექტემბერს კოლეჯის ძირითად და დაბა თიანეთის ფილიალის სასწავლო ერთეულში ჩაატარა ტრენინგები სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ. 30 სექტემბერს ჩატარდა დამატებითი ტრენინგები იმ პედაგოგებისათვის ვინც ვერ შეძლო წინა პერიოდში ჩატარებულ ტრენინგებზე დასწრება. ტრენინგებს საერთო ჯამში დაესწრო 48 პედაგოგი. ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების ფარგლებში, გაიარეს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები გაეროს მხარდაჭერით.

2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ექსპერტები გავეცანით „მეხილეობის“ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეს და გავესუბრეთ ონლაინ რეჯიმში. შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს დარგობრივი კომპეტენცია, რაც დასტურდება მისი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით. იგი დანიშნულია დირექტორის ბრძანებით და მის მოვალეობებს ვეცნობით ასევე კოლეჯის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში ''სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი“. წესის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია იზრუნოს პროგრამის განვითარებაზე, მის მონიტორინგზე პროგრამის ადეკვატურ განხოციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამინური რესურსების განვითარებაზე. მისი ვალდებულებაა ასევე ვერიფიკაციის პროცესში ჩართვა, რითაც ხელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

შეუწყობს პროგრამის განვითარებას. ონლაინ ჩართვის რეჟიმში გასაუბრებამ დაგვარწმუნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობები, პროგრამის ეფექტიანად განხორციელების საქმეში.

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულებამ ონლაინ ჩართვაში ექსპერტებს წარმოგვიდგინა და დაგვათვალიერებინა პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია ბეჭდური ან ელექტრონული სახით სასწავლო პროცესში. საგანმანათლებლო მისიას ემსახურება ბიბლიოთეკაში განთავსებულია 10 კომპიუტერიც და ერთი ნოუთბუქი.
წარმოდგენილი სახელმძღვანელოები და ელექტრო მატარებლებზე ჩატვირთული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია ბიბლიოთეკის ინვენტარიზაციის წიგნში.

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ამ ეტაპზე კოლეჯს არ ჰყავს სსსმ და შშმ პირი, მაგრამ შემუშავებული აქვს მექანიზმები, რომლებიც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. კოლეჯი მზადყოფნას გამოთქვამს საჭიროების შემთხვევაში სრულად უზრუნველყოს მათი ეფექტიანი ჩართვა სასწავლო პროცესში. ამისთვის, კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, შემუშავებულია მათი შეფასების ინსტრუმენტები. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მოდულის მოდიფიკაცია, ასევე აკომოდაცია და მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. შშმ და სსსმ სტუდენტებისთვის კოლეჯში არის შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინფრასტრუქტურა (პანდუსები), რაც უზრუნველყოფს სსსმ სტუდენტების წვდომას პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან.

2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯმა წარმოგვიდგინა პროგრამის ბიუჯეტი. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მეხილეობა“ რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 10 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასური - ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსებაა, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება და პროგრამის სასწავლო მასალების, მასალა-ნედლეულის ღირებულება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია „მეხილეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მეხილეობის საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური აღჭურვილობის დანართით;
- მიღება ჩაბარების აქტებით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“;
- პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროგრამის განმახორციელებლებთან დადებული ხელშეკრულებებით;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობით;
- ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო წესით დამუშავეული სასწავლო რესურსით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- გასაუბრების შედეგებით;
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ რომელშიც წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით შევიდა შესაბამისი ცვლილებები N04-189 06.10.2020. რეკომენდირებული იყო კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების გადახედვა და ასევე კვლევისთვის საჭირო გამოკითხვის ფორმების შემუშავება.

დოკუმენტის გაცნობის და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან ონლაინ ჩართვაში გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, ასევე, ავტორიზაციის სტანდარტების და კოლეჯის ნორმატიული და სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის, შიდა მხარდაჭერის ჯგუფისა და ვერიფიკაციის ჯუფის მიერ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ხარისხის უზრუნველყოფზე პასუხისმგებელი პირები და ჯგუფები დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობენ კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან/ დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ასევე გულისხმობს კოლეჯის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და მისი გაუმჯობესების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

როგორც კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრების, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და კითხვარების შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, კოლეჯი ზრუნავს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებაზე და სახელმწიფო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათ მაქსიმალურად დაახლოებაზე. კოლეჯში, პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის, სასწავლო პროცესის, სერვისებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია კვლევების ჩატრება სხვადასხვა მიმართულებით, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები:

- სტუდენტების დასაქმების კვლევა;
- კურსდამთავრებულების კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევა;
- დამსაქმებლების კვლევა;
- სსსმ პირთა გამოკითხვა კოლეჯში მიღებული სერვისებით კმაყოფილების თაობაზე;
- საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვა;
- პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი;
- პრაქტიკის ობიექტებზე უსაფრთხო გარემოს მონიტორინგი (წარმოადგენს სამსახურებრივ ბარათს სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი);
- ადმინისტრაციის პერსონალის გამოკითხავა;
- შეფასების კვლევა მასწავლებლებისთვის;
- შეფასების კვლევა სტუდენტებისთვის;
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება (შიდა მხარდაჭრის ჯგუფის შეფასების კითხვარი).

პანდემიის გათვალისწინებით კოლეჯმა ვერ მოახერხა ყველა კვლევის ჩატარება, თუმცა წარმოადგინა 3 კვლევის ანგარიში. ეს გახლავთ დამსაქმებელთა, სტუდენტთა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების კმაყოფილების კვლევის ანგარიშები. ანგარიშებს ახლავს ის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -

PDF Eraser Free

რეკომენდაციებიც, რომლებიც კვლევაში ჩართულმა პირებმა შეიმუშავეს და რომლებიც ემსახურება სასწავლო პროცესის, პროგრამების განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების საკითხების გაუმჯობესებას.

როგორც ხარისხის მენეჯერმა აგვიხსნა, რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის პირს, რაც იძლევა შესაძლებლობას მოხდეს დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი. მისივე განმარტებით კვლევის ჩატარება იგეგმება „მეხილეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებშიც.

2.3.1.2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში - ''სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ - გაწერილია პროგრამაში ცვლილებების განხორციელების წესი. წესის თანახმად პროგრამაში ცვლილებები შესაძლებელია შევიდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას, პროგრამის ხელმძღვანელს. ცვლილების შეტანის ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობითი სახით, მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცემა ახალი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

წარმოდგენილი წესები შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

იმედს ვიტოვებთ, რომ არსებული მექანიზმებით დაწესებულება შეძლებს პროგრამების განხორციელების ხარისხის შედეგების გაანალიზებას და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანას.

საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობის“ ფრგლებში ინიცირების საჭირობა ჯერ არ დამდგარა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესით;
- „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და ვერიფიკაციის წესით“;
- თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესით;
- კვლევების შედეგებით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ონლაინ ჩართვის განრიგი

16.11.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- -